საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეგრული თხა

მეგრული თხა

მეგრული თხა, სარძეო პროდუქტიული მიმართულების მალმწიფებადი და მრავალნაყოფიერი ადრეულა ჯიში. ხალხ. სელექციით გამოყვანილია დას. საქართველოში, სამეგრელოში. გავრცელებულია სამეგრელოში, აფხაზეთში, აჭარაში, გურიასა და იმერეთში. მოაშენეს ჩრდ. კავკასიის მეურნეობებში. განასხვავებენ მ. თ-ის 2 – დაბლობისა და მთის ტიპებს. პირველს უფრო ნაზი კონსტიტუცია აქვს და მერძეულია, მეორეს – ძლიერი კონსტიტუცია და უხეში ძვალეული აქვს და მერძეულ-მეხორცულია. იკვებება კოლხეთის ეკალბარდიან, შამბნარიან და მთის ციცაბო ფერდობის საძოვრებით. მ. თ. თეთრია, იშვიათად ჩალისფერი ან ჭრელი. ვაცს აქვს მოხრილი დიდი რქები, ნეზვს – ასეთივე ფორმის მოკლე და წვრილი. ვაცის ცოცხალი მასა 55 *კგ* აღწევს, ნეზვისა – 40 *კგ*-მდე (ახალშობილი თიკნის – 2,5–2,8 *კგ*). ნეზვის ნაყოფიერებაა 140%, ლაქტაციის ხანგრძლივობა – საშ. 250 დღე, მონაწველი – 300–400 *კგ* (მაქს. 739 *კგ*), რ-ის ცხიმიანობაა 4–4,8%. 1935 შეიქმნა მ. თ-ის სახელმწ. ჯიშთსაშენი (ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. მუხური) და სანაშენე ფერმები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და სენაკის რ-ნები). 1941 გამოიცა ჯიშის სანაშენე წიგნი. 1974-თვის საქართვ. საზ. მეურნეობაში 18800 *მ.* თ. იყო; 2014 სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში აღირიცხა 8508 სული. თხის ტყავი ნედლეულია უმაღლესი ხარისხის ტყავეულის გამოსაქნელად.

ლიტ.: გ ო გ ო ლ ი გ., საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნება, სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველები, თბ., 2010; ღ ლ ი ღ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს მეთხეობა, თბ., 1996.